დანართი 1

კანდიდატის თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე

მე, [სახელი და გვარი], პირადი ნომერი ----------, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, შპს „ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში“ (ს.კ. 405365698) ვაძლევ უფლებას (ვაცხადებ თანხმობას), რათა განახორციელოს ჩემი პერსონალური მონაცემის დამუშავება კანდიდატის შერჩევის ან დარეზერვების პროცედურების შესაბამისად ან/და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისათვის, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. აღნიშნული უფლება ეძლევა პოტენციურ დამსაქმებელს იმის მიუხედავად, შემდგომში გაფორმდება თუ არა ჩვენს შორის შრომითი ხელშეკრულება.

ამასთანავე, ვაცხადებ, რომ თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები, გასაუბრებისა და ტესტირების შედეგები, ინახებოდეს პოტენციურ დამსაქმებლის აპლიკანტთა სარეზერვო ბაზაში, ჩემი კანდიდატურის სხვა ვაკანსიაზე განხილვის მიზნით, **არაუმეტეს ერთი (01) წლის ვადით**, ხოლო ნებისმიერი სადავო საკითხის შემთხვევაში, რომელსაც შეიძლება შემხებლობა ჰქონდეს ჩემს პოტენციურ დასაქმებასთან, შესაბამისი დავის დასრულებამდე. ამასთან, სადავო გარემოებების არსებობისას, პოტენციური დამსაქმებელი უფლებამოსილია, მონაცემები გადასცეს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.

აგრეთვე ვადასტურებ, რომ ვფლობ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ, რომ ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი/პოტენციური დამსაქმებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

კანდიდატის სახელი გვარი:

კანდიდატის ხელმოწერა _____

თარიღი: